დანართი 1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალობის მაძიებელთა სწავლების პროცესის მარეგულირებელი წესი

1. თსუ-ის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალობის მაძიებელის სტატუსის მინიჭება

1. საქართველოს მოქალაქეებისათვის თსუ-ის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალობის მაძიებელის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი დიპლომის შემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები.
2. თსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალობის მაძიებელის ჩარიცხვა ხორციელდება თსუ-ის რეზიდენტურის პროგრამებზე მიღების წესის შესაბამისად.
3. სპეციალობის მაძიებელის ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა თსუ-ში დადგენილი წესების დაცვით.
4. სპეციალობის მაძიებელის სემესტრული რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად: ადმინისტრაციული – ბანკში სწავლის საფასურის გადახდით და აკადემიური (საგნობრივი) - ,,სასწავლო პროცესის მართვის სისტემის" საშუალებით.

2. თსუ-ში გადმოყვანის წესით ჩარიცხვა

1. თსუ–ში სპეციალობის მაძიებელის გადაყვანის წესით ჩარიცხვა ხორციელდება: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N 135/ნ 08.05.2009 და N 218/ნ 25.06.2009 ბრძანებების შესაბამისად.
2. გადაყვანის წესით ჩარიცხვის უფლება აქვს სპეციალობის მაძიებელს, რომელიც სწავლობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებულ დაწესებულება/სასწავლებელში ან იმ უცხო ქვეყნის/ოკუპირებული ტერიტორიის სპეციალობის მაძიებელს, რომლის პროგრამა და შედეგები აღიარებული იქნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ.
3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, თსუ–ის მიერ დარეგისტრირებულ და გამოქვეყნებულ ვაკანტურ ადგილებზე.
4. მობილობის უფლება სპეციალობის მაძიებელს რეზიდენტურის პროგრამაზე აქვს სწავლების ნებისმიერ ეტაპზე. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სპეციალობის მაძიებელის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა აკრედიტაცია ან დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.
5. გადაყვანის წესით სპეციალობის მაძიებელის ჩარიცხვის შემთხვევაში მიმღები ფაკულტეტის და რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელის წერილობითი

მოტივირებული გადაწყვეტილებით დგინდება სპეციალობის მაძიებელის მიერ ათვისებული პროგრამისა და თსუ–ს პროგრამის თავსებადობა და აღიარება.

3. სპეციალობის მაძიებელის სტატუსის შეჩერება

1. სპეციალობის მაძიებელის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
   ა) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა;
   ბ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
   გ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სპეციალობის მაძიებლის უუნარობა.
   დ) ორსულობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება ორსულობის პათოლოგიური მიმდინარეობა.
   ე) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;
   ვ) უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“, ,,დ“ და ,,ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სპეციალობის მაძიებელმა განცხადებით უნდა მიმართოს თსუ–ის რექტორს.
3. სპეციალობის მაძიებელის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა განისაზღვრება შესაბამისი სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება: N 135/ნ 08.05.2009).
4. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სპეციალობის მაძიებელი სწავლას აგრძელებს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

4. სპეციალობის მაძიებელის სტატუსის შეწყვეტა

1. სპეციალობის მაძიებელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
   ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
   ბ) რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული ვადის გადამეტება;
   გ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის;
   დ) პირადი განცხადება;
   ე) შესაბამისი პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება:N 135/ნ 08.05.2009-ით განსაზღვრულ ვადებში;
   ვ),,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით“, ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით“ გათვალისწინებული შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
   ზ) გარდაცვალება;

5. თსუ-დან გარიცხული\ამორიცხული სპეციალობის მაძიებელის აღდგენის წესით ჩარიცხვა

1. სპეციალობის მაძიებლის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სპეციალობის მაძიებლის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი დგება ბრძანების გამოცემიდან 6 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სპეციალობის მაძებლის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სპეციალობის მაძიებელი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სპეციალობის მაძიებლის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.
3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული სპეციალობის მაძიებელის აღდგენის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელების დასაშვები ეტაპი განისაზღვრება შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, ფაკულტეტის მიერ ამორიცხვამდე ათვისებული პროგრამის აღიარების საფუძველზე.

6. თსუ სპეციალობის მაძიებელის უფლება-მოვალეობები

1. სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს:

   ა) მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით (ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები) უზრუნველყოფა: კვალიფიციური ხელმძღვანელი, თანამედროვე კლინიკური და საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამუშაო ოთახი;

   ბ) მონაწილეობდეს რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და შეფასებაში.

   გ) მზადების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ აცნობოს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ხელმძღვანელობას.
2. სპეციალობის მაძიებლის მოვალეობები:

   ა) შეასრულოს რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღრული კურიკულუმი;

   ბ) მის მიერ განხორციელებულ/შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვის მიზნით აწარმოოს დღიური.

   გ) ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგინოს გაწეული მუშაობის ანგარიში, გაიაროს ეტაპობრივი და შემაჯამებელი გამოცდა.

   დ) დაიცვას თსუ-ის შინაგანაწესი და შეასრულოს უნივერსიტეტის განრიგით განსაზღვრული საქმიანობა.

   ე) დაიცვას და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;

   ვ) გადაიხადოს სწავლის სემესტრული საფასური ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში და გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია;

   ზ) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;

   თ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას;

7. სემესტრული გადასახადი

1. თსუ-ში რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო პროგრამის საფასური განისაზღვრება სემესტრული გადასახადით შესაბამისი რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო წლის ხანგრძლივობიდან და ყოველთვიური (სტომატოლოგია - 550 ლარი;

რადიოლოგია - 200 ლარი და მედიცინის სხვა ყველა სპეციალობა - 150 ლარი) გადასახადიდან გამომდინარე.

2. პროგრამის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს თსუ–ს რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით დადგენილ ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში (სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ);
3. პროგრამის ვადის გასვლის შემდგომ მოდულის ხელმეორედ გავლის შემთხვევაში, საფასური განისაზღვრება მოდულის ხანგრძლივობის შესაბამისად;
4. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს პრეფერენციული (უფრო დაბალი, შეღავათიანი) ტარიფით გაფორმებული ხელშეკრულება, სპეციალობის მაძიებელს პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში უნარჩუნდება ხელშეკრულებით დადგენილი საფასურის ოდენობა;
5. სტატუსშეჩერებული სპეციალობის მაძიებელის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ტარიფით;
6. სპეციალობის მაძიებელი უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას;
7. ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში რეგისტრაციის გავლის გარეშე სპეციალობის მაძიებლის სასწავლო პროცესში თვითნებური მონაწილეობა არ წარმოშობს მის უფლებას მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამატებით გავლა და მიღებული მომსახურების აღიარება.

8. დამატებითი პირობები და ვადები:

1. ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები ძალაშია 2 წლის განმავლობაში. თუ სპეციალობის მაძიებელმა აღნიშულ პერიოდში არ დაიწყო დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) და არ გაიარა შესაბამისი რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის სულ მცირე 1 მოდული, გამოცდის შედეგები უქმდება და დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) დასაწყებად მან განმეორებით უნდა ჩააბაროს ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდა.
2. სპეციალობის მაძიებლის მიერ შესაბამისი სპეციალობის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის გავლის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს შესაბამის სპეციალობაში სარეზიდენტო პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს მას 2-ჯერ. ვადის ათვლა იწყება უნივერსიტეტში პირველი მოდულის დაწყების დღიდან.
3. სპეციალობის მაძიებელმა რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი თითოეული მოდული უნდა გაიაროს არანაკლებ ამ მოდულის ხანგრძლივობით განსაზღვრულ ვადაში; შეუძლებელია 2 და მეტი მოდულის ერთდროულად გავლა.
4. სპეციალობის მაძიებლის ეტაპობრივი/საბოლოო უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელმა, სპეციალობის მაძიებელთან შეთანხმებით, შეიძლება

შეუდგინოს მას გეგმა-გრაფიკი და განუსაზღვროს მოდული/მოდულები, რომლებიც უნდა გაიაროს განმეორებით.

5. რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამა არ ჩაითვლება გავლილად, თუ განმეორებით რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის 2-ჯერ მეტ ვადაში სპეციალობის მაძიებელი ვეღარ ასწრებს პროგრამის შემადგენელი მოდულის/მოდულების გავლას ან რომელიმე მოდულში/მოდულებში მიიღებს უარყოფით შეფასებას.

9.საქართველოსა და უცხოეთში გავლილი მოდულების აღიარება

1. თსუ-ის სპეციალობის მაძიებლის, აგრეთვე მობილობის ფარგლებში უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით ჩარიცხულთა მიერ საქართველოსა და უცხოეთში გავლილი მოდულების აღიარება ხდება შესაბამის პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის კომისიის მიერ.

10. შეფასების წესი:

1. უნივერსიტეტში სპეციალობის მაძიებლისათვის შემუშავებულია შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს მაძიებელთა ეტაპობრივ და საბოლოო შეფასებას და იძლევა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და მიდგომების, ასევე, პრაქტიკული საქმიანობის შეფასების შესაძლებლობას.
2. სპეციალობის მაძიებლის შეფასება აისახება მის დღიურში.
3. სპეციალობის მაძიებელი ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს გაწეული მუშაობის ანგარიშს.
4. სპაციალობის მაძიებელი მოდულის/ლოკალურ ხელმძღვანელთან აბარებს ეტაპობრივ გამოცდას;
5. სპეციალობის მაძიებელი პროგრამის დასრულების შემდეგ აბარებს შემაჯამებელ გამოცდას პროგრამის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის კომისიასთან.
6. გამოცდის შეფასება ხდება ჩათვლა-არჩათვლის პრინციპით.
7. სპეციალობის მაძიებელი, რომელიც არ ეთანხმება ეტაპობრივ ან შემაჯამებელ გამოცდაზე მიღებულ უარყოფით შეფასებას, უფლებამოსილია 24 საათის განმავლობაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს ფაკულტეტის ხელმძღვანელობას და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.
8. ფაკულტეტის ხელმძღვანელობა საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას სპეციალურ სააპელაციო კომისიასთან ერთად იღებს 72 საათის განმავლობაში.
9. პროგრამით გათვალისწინებული მოდულების წარმატებით დასრულების შემდეგ და შემაჯამებელი გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში სპეციალობის მაძიებელს ეძლევა დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობა. მოწმობას გასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭო.